ხელშეკრულება N 02-01/117
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის - დავით დიასამიძის სახით და მეორე მხრივ, ფ/პ გიორგი გორგილაძე (პ/ნ-61008019395) (შემდგომში „მიმწოდებელი”), ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ წარმოდგენილი 196 (ასოთხმოცდათექვსმეტი) აპლიკანტისათვის ტესტირების ორგანიზება, ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გართიანების“ მიერ გადაცემული ტესტების გამოყენებით, (CPV კოდი - 79600000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **320 (სამას ოცი)** ლარს;

3.2. მომსახურების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

4.1.1. ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტით განსაზღვრული აპლიკანტებისათვის ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ტესტირების ჩატარება ელექტრონული ფორმით 2023 წლის 29 ივლისს 09:00 სთ-დან, ქ. ბათუმში , ბსუ-ს სარგებლობაში არსებულ 50 ადგილზე მეტი ტევადობის ერთი აუდიტორიით მდებარე ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, ტესტირების ჩატარების მიზნით.

4.1.2. შემსყიდველისათვის წერილობითი ფორმით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ტესტირებაზე წარმოდგენილ კანდიდატთა შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ტესტირების დასრულებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში;

4.1.3. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

4.1.4. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. წერილობითი ფორმით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით არაუგვიანეს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1.1 ქვეპნქტით გათვალსიწინებული ტესტირების თარიღამდე კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიწოდება (პოზიცია, სახელი და გვარი);

4.2.2. უზრუნველყოს კანდიდატების გაფრთხილება;

4.2.3. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით ღირებულების სრულად ანაზღაურება, მათ შორის იმ შემთხვევაშიც:

4.2.3.1. თუ აპლიკანტთა რაოდენობა ტესტირებისას იქნება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ კანდიდატთა რაოდენობაზე ნაკლები;

4.2.3.2. თუ მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი კანდიდატ(ებ)ი, არ გამოცხადდება ტესტირებაზე;

4.2.4. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2.5. ტესტირების შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში აპლიკანტთა პრეტენზიების განხილვა;

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმდების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.2. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

5.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების მეთოდოლოგიის განყოფილების უფროსი - ნორა ფუტკარაძე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას განახორციელოს 3.1 პუნქტით გათვალისიწნებული ხელშეკრულების ღირებულების სრული გადახდა, შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის 4.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებლი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

9.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ზიანის (პირგასამტეხლოს გათვალისწინებით) ანაზღაურება.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5. ამ მუხლის მიზნებისათვის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად არ განიხილება, ისეთი შემთხვევები, როდესაც მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი კანდიდატ(ებ)ი არ გამოცხადდება ტესტირებაზე;

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ კვალიფიციური ელეტრონული ხელმოწერისთანავე ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმებისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 30 სექტემბრამდე;

14. ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და

მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ა(ა)იპ „ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება“

მის: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ N42

საიდენტიფიკაცო კოდი: 445 393 510

სახელმწიფო ხაზინა

TRESGE22

ა/ნ 740737005

მობ: 577 26 11 64

bolkvadzespa@gmail.com

დავით დიასამიძე

მიმწოდებლი:

ფ/პ გიორგი გორგილაძე

მის: ქედის რ-ნი, სოფელი ვაიო

საიდენტიფიკაცო კოდი: 61008019395

მომსახურე ბანკი: სს საქართველოს ბანკი

მომსახურე ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ნ GE67BG 0000 0005 3954 5808

მობ: 591 26 66 60

giorgigorgiladze9@gmail.com

გიორგი გორგილაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ ტესტირების ორგანიზების მომსახურების შესყიდვის მიზნით, ფ/პ გიორგი გორგილაძესთან (პ/ნ-61008019395) დადებული წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ზედამხედველობის პროცესში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი - დავით დიასამიძე